თანხმობა

ქ. თბილისი 06.09.2019წ.

მე, არქიტექტორი თენგიზ კვანტალიანი (პირადი №60001003040) თანახმა ვარ, არქიტექტორმა ლევან მამისაშვილმა (ს/ნ 01021001076) დააკორექტიროს შპს "ბელაჯიო"-ს (ს/კ 412700625) კუთვნილი სავაჭრო ცენტრის პროექტი მისამართზე: ქ. თბილისი, ა. ბელიაშვილის ქ. №187 (ს/კ 01.13.02.001.053), რაზედაც არ მაქვს პრეტენზია.

თენგიზ კვანტალიანი ----------

ორიათას ცხრამეტი წლის ექვს სექტემბერს მე, **ნოტარიუს შორენა ხაინდრავას** ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: **ქ. თბილისი, დ. გამრეკელის ქ. №18,** მომმართა **თენგიზ კვანტალიანმა,** რომელმაც წარმოადგინა **06.09.2019 წლის თანხმობა** და მოითხოვა მასზე მისი ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავწმუნდი, რომ ნამდვილად **თენგიზ კვანტალიანმა** (დაბ. 19.10.1972წ, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. VII კვ. №4 ბ.34-35, მართვის მოწმობა: DH №0873579, პირადი №60001003040) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მჭონდა, ასევე განვუმარტე, რომ წინამდებარე დოკუმენტზე ხელმოწერის დამოწმებისას ნოტარიუსი ამოწმებს, რომ შესრულებული ხელმოწერა ნამდვილად ზემოადნიშნულ პირს ეკუთვნის. ნოტარიუსი არ ადასტურებს დოკუმენტში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას და შესაბამისად პასუხს არ აგებს სამართლებრივ შედეგებზე. ამის შემდეგ **თენგიზ კვანტალიანმა** ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე თანხმობას.

გადახდილია სანოტარო მომსახურეობის საზღაური (წინამდებარე თანხმობის 1 ეგზემპლარზე შესრულებული 1 ხელმოწერის დამოწმებისათვის) 2 ლარი („სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" 2011 წლის 29 დეკემბრის საქართველოს მთავრობის №507-ე დადგენილების მე.31 პ.პ.ა-ის თანახმად), დღგ – 0.36 ლარი (თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა) და რეგისტრაციის საფასური 2 ლარი (ამავე დადგენილების მე.39 პ.1-ის თანახმად). სულ გადახდილია 4.36 ლარი.

ნოტარიუსი ---------- /შორენა ხაინდრავა/

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი N191079404

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი 06.09.2019 წ

სანოტარო მოქმედების დასახელება ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება

ნოტარიუსი შორენა ხაინდრავა

სანოტარო ბიუროს მისამართი ქ. თბილისი დ. გამრეკელის ქ. N18

სანოტარო ბიუროს ტელეფონი 2725342

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი 44928187280219

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი
78882035680719

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება
რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი
N191045428

რეგისტრაციის თარიღი
03.09.2019 წ

ნოტარიუსი: შორენა ხაინდრავა
მისამართი: ქ. თბილისი დ. გამრეკელის ქ. N18
ტელეფონი: 2725342

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო
სანოტარო აქტი

ორიათას ცხრამეტი წლის სამ სექტემბერს მე, **ნოტარიუს შორენა ხაინდრავას** ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: **ქ. თბილისი, დ. გამრეკელის ქ. №18,** მომმართა **შპს «ბელაჯიო»-ს დირექტორმა დავით ხიდეშელმა** (თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან: განაცხადის რეგისტრაციის №**B19082741**, ს/კ 412700625, ამონაწერის მომზადების თარიღი 31/07/2019). ჩან მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება. მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად **დავით ხიდეშელმა** (დაბ. 25.08.1960წ, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი, ზოფრეთის ქ. №36, პირადი №62007000926) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მჭონდა. მე დავრწმუნდი მისი ნების გამოვლენის ნამდვილობაში, შევადგინე მინდობილობა, წავუკითხე მას, განვუმარტე მისი შინაარსი და მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, რის შემდეგ **დავით ხიდეშელმა** თავადაც წაიკითხა მინდობილობის ტექსტი და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი მას.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, **შპს «ბელაჯიო»-ს დირექტორი დავით ხიდეშელი** (დაბ. 25.08.1960წ, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი, ზოფრეთის ქ. №36, პირადი №62007000926) ვანიჭებ **ლევან მამისაშვილს** (პირადი №01021001076) უფლებამოსილებას, კომპანიის საკუთრებაში არსებული ნებისმიერი უძრავი ქონების პროექტს მიდგმა/წარდგენასთან დაკავშირებით აწარმოოს მოლაპარაკებები, ჩემი სახელით შეიტანოს განცხადებები, წარადგინოს და/ან მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია, ცნობა და/ან დოკუმენტი, წარადგინოს პროექტი, საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს პროექტის კორექტირება, დაარეგისტრიროს ახალშენი ნახაზი, დაესწროს საქმის განხილვას, მიიღოს ნებართვები, გაადრძელოს მშენებლობის ნებართვის ვადები, გაიყვანოს ბუნებრივი აირი, წყალი, ელექტროენერგია, დაამონტაჟოს გაზის, წყლის და/ან ელექტროენერგიის მრიცხველი, დაარეგისტრიროს მრიცხველები კომპანიის სახელზე, დაარეგისტროს პროექტი, რისთვისაც იყოს ჩემი წარმომადგენელი იუსტიციის სახლში, საჯარო რეესტრში, სანოტარო ბიუროში, ქ. თბილისის მერიასა და მის დაქვემდებარებულ ნებისმიერ დაწესებულებაში, არქიტექტურის და ურბანული დაგეგმარების სამსახურში, ზედამხედველობის სამსახურში, გარემოს დაცვის სამსახურში, კომუნალური მომსახურების სამსახურებში, სს "თელასში", შპს "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერში", "დასუფთავების სამსახურში, "ჯზსტრანსგაზში", "თბილისი ენერჯი"-ში, ხელი მოაწეროს ყველა საჭირო საბუთს და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც წინამდებარე მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად იქნება საჭირო.

მინდობილობა გაცემულია ორი წლის ვადით.

წინამდებარე მინდობილობა შედგენილია ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მიმნდობს.

იმ ეგზემპლარს, რომელიც რჩება სანოტარო არქივში, თან ერთვის შემდეგი დოკუმენტი:

1. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (განაცხადის რეგისტრაციის №B19082741, ს/კ 412700625, ამონაწერის მომზადების თარიღი 31/07/2019);
2. წესდება ხელისწყდომია მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრის ბიტზე.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური 10 ლარი („სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" 2011 წლის 29 დეკემბრის საქართველოს მთავრობის №507-ე დადგენილების მე.31 პ.7-ის თანახმად), დღგ - 1.80 ლარი (თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა) და რეგისტრაციის საფასური 2 ლარი (ამავე დადგენილების მე.39 პ.1-ის თანახმად). სულ გადახდილია 13 ლარი და 80 თეთრი.

შპს «ბელაჯიო»-ს დირექტორი
დავით ხიდეშელი ----------

ნოტარიუსი ---------- შორენა ხაინდრავა